საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/212

ქ. ბათუმი 30 ნოემბერი, 2021 წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,, ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის MES 4 21 0001254482 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N01-02/198 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის, მამუკა გოგელიას 2021 წლის 26 ნოემბრის N1273642 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მსმენელთა მიღება ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2021 წლის 01 დეკემბრიდან 07 დეკემბრის ჩათვლით**, ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დისტანციური მხარდაჭერით (ცხელი ხაზი: 577491939).
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს მსმენელთა დისტანციური მხარდაჭერა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და

უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,, ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 30 ნოემბერი N 01-02/212 ბრძანების

დანართი N1

N	პროგრამის კოდი	მომზადების პროგრამის დასახელება	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	სწავლების ხანგრძლივობა (კვირეებში)	სწავლების ხანგრძლივობა (საათებში)	მისაღები მსმენელების რაოდენობა
1	01238	ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა	III	9	90	20